

ბასილი მთანმიდელი

XI საუკუნის I ნახევარში ათონის მთის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობდა ბასილი ბაგრატიის ძე მთანმიდელი, რომელმაც საგალობლები მიუძღვნა ეფთვიმე ათონელს. „ათონის კრებულში“ მოთავსებულია ეფთვიმე მთანმიდელისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომლის აკროსტიქი მიუთითებს ავტორის სახელს – მას ბასილი რქმევია. აკროსტიქი ასეთია: „ღმერთშემოსილსა ეფთიმის გლახაკი ბასილი შეამკობს“. კ. კეკელიძის ვარაუდით, იგი ყოფილა ივერთა მონასტრის მოღვაწე, რომელსაც გიორგი მთანმიდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების დანერამდე შეუქმნია თავისი საგალობელი; მას არ ატყვია გავლენა ამ „ცხოვრებისა“ (3,235). მისივე ვარაუდით, იგი არ უნდა იყოს ბასილ ბაგრატიის ძე, რომელსაც ხახულის ლავრაში ლოცვა-კურთხევისათვის წარუდგინეს ბიძებმა 10 წლის გიორგი მთანმიდელი. ბასილი ამ დროს ყოფილა „მოძღვარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა“. მისი „დისიძე“, ე. ი. დის ქმარი, იყო ცნობილი პიროვნება ფერსო ჯოჯიკისძე, რომელიც მოიხსენიება „გიორგი მთანმიდელის ცხოვრებაში“ (3,235).

ლ. მენაბდემ ბასილი ბაგრატიის ძის შექმნილად მიიჩნია „გალობანი ნმიდისა მამისა ეფთვმისნი“ (4,204), რომელსაც შემდეგ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ე. მეტრეველმა.

ბასილის ვინაობა და საქმიანობა საგანგებოდ იკვლია და შეისწავლა ე. მეტრეველმა, რომელმაც ივარაუდა, რომ ბასილი ბაგრატიის ძე უნდა იყოს ეფთვიმე მთანმიდელისადმი მიძღვნილი საგალობლების ავტორი (5,67). მანვე გამოაქვეყნა ტექსტიც. მისი თვალსაზრისით, ბასილი ბაგრატიის ძე, ერთ-ერთი მნიშვნე-

ლოვანი პიროვნება XI საუკუნის ქართულ საეკლესიო კულტურულ სამყაროში ათონზე უნდა მისულიყო ხახულიდან, ~~მეფარა~~ ძლოა, ეფთვიმე მთანმიდელის მოღვაწეობის ბოლო წელს თუ არა, მისი გარდაცვალებისთანავე მაინც. ამას მოწმობს მისი საგალობელი, რომელიც თვითმხილველის თუ არა, მისი ცხოვრების კარგად მცოდნე პიროვნების ძიერ უნდა იყოს დასტურდება (5,197). იმ მრავალრიცხოვანი საგალობლებიდან, რომლებიც ეფთვიმეს შესახებ დაინერა და რომლებიც ცნობილია ჩვენთვის, ყველაზე ძველი სწორედ ბასილი ბაგრატიის ძის საგალობელია.

ეფთვიმეს სახელზე შექმნილ საგალობელთა უმეტესობა გიორგი მთანმიდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების დასტურებას მდებარე ჩამოყალიბდა, რაც იმით დასტურდება, რომ ისინი ამ თხზულებას ეყრდნობიან. ერთადერთი საგალობელი, რომელიც გიორგის თხზულებამდე დაინერა, ბასილი ბაგრატიის ძისაა. ე. მეტრეველმა აღნიშნა, რომ საგალობელი ენათესავება გიორგი მთანმიდელის თხზულებას „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ (5,191), ხოლო ე. გაბიძაშვილმა მას დაუმატა ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრებაც“. „ამ საში ძეგლის ტექსტობრივი შედარება უეჭველს ხდის ვარაუდს, რომ ექვთიმეს საგალობელი და ვრცელი ცხოვრება სვინაქსარულ ცხოვრებაზეა დამოკიდებული, რომ სვინაქსარული ცხოვრება არის წყარო, როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის“ (9,81). საამისოდ მან თავის ნარკვევაში სამივე ტექსტი შეადარა ერთმანეთს და დაადგინა, რომ „ანტიკლავსური ადგილების ფრაზოლოგიური დასახილველები და მისი არსობრივი იგივეობა უეჭველს ხდის საგალობლის დამოკიდებულებას სვინაქსარულ ცხოვრებაზე. რაც შეეხება ვრცელ ცხოვრებას, იგი ამ ადგილების გადმოცემაში მთლიანად დამოკიდებულია სვინაქსარულ ცხოვრებაზე და არც ერთ ისეთ მაგალითს არ იძლევა, რაც შეიძლება იყოს საგალობელში და არ იყოს სვინაქსარულ ცხოვრებაში“ (9,85). მისივე დაკვირვებით, სვინაქსარულსა და ვრცელ „ცხოვრებასთან“ შედარებით საგალობელმა

ორი დამატებითი დეტალიც კი შემოგვინახა. კერძოდ, ეფთვიმეს მოკვლის მცდელობის შესახებ ცნობებში არ გვხვდება ბოროტმოქმედთა სახელები, ხოლო საგალობელში ისინი დასახელებულია - კოზმა და ლეონი. საინტერესოა, რატომ აღნიშნა ეს სახელები ბასილი ბაგრატიის ძემ თავის საგალობელში, რომელიც ლიტურგიკული დანიშნულებისა იყო, ხოლო ლეთისმსახურებისას მიზანშეუწონელი იყო მათი ხსენება. უფრო მეტიც, იგი შევიდა ისეთ ლიტურგიკულ კრებულში, როგორც არის გიორგი მთაწმიდელის „თუენი“. ე. გაბიძაშვილმა ამასთან დაკავშირებით დასვა კითხვები: „ბასილი ბაგრატიის ძის საგალობელში „უნმიდურთა“ სახელების შეტანას ხომ არ აქვს რაიმე კავშირი იმ გარემოებასთან, რომ ექვთიმესადმი მიძღვნილი ეს საგალობელი, რომელიც გამოირჩევა თავისი მხატვრული ღირსებებით, ფაქტობრივი მასალის სიმდიდრით და, ამასთანავე, უძველესია ექვთიმეს სახელზე დაწერილ საგალობლებს შორის, შევიდა „თუენის“ „სხუა“ საგალობელთა რიგში და არა ძირითად ნაწილში? ამიტომ ხომ არ შეიზღუდა ამ საგალობლის გავრცელების არე, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი? რომ „ათონის კრებულში“ შესულ ექვთიმეს სახელობის მრავალრიცხოვან საგალობლებს შორის არ არის ბასილი ბაგრატიის ძის საგალობელი?“ (9,87).

ე. გაბიძაშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ეფთვიმე მთაწმიდელის სვინაქსარული „ცხოვრების“ მიმართება გიორგი მთაწმიდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან და სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორად მიიჩნია ეფთვიმეს თანამედროვე, თანამოღვაწე, ცნობილი მწიგნობარი, მთარგმნელი და ორიგინალური საგალობლების ავტორი ბასილი ბაგრატიის ძე. მისი აზრით, გიორგი მთაწმიდელისათვის ერთ-ერთი წყარო იყო ბასილი ბაგრატიის ძის ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრება“, რამაც გამოიწვია მთელ რიგ საკითხებში ამ ორი ავტორის თვალსაზრისთა თანხვედრა. ეფთვიმეს მოსახსენებელი კი

უთუოდ მისი გარდაცვალებისთანავე უნდა დაწერილიყო (მოსახსენებელში იგულისხმება არა ალაპი, არამედ მოკლე, სვინაქსარული „ცხოვრება“), ვინაიდან მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკაში მიღებული წეს-განგების თანახმად, თვალსაჩინო მოღვაწეთა მოსახსენებელი მათი აღსრულებისთანავე იქმნებოდა (9,88-89).

საგულისხმო ფაქტია ის გარემოება, რომ წმინდანის შესახებ საგალობელი არ იწერებოდა ამ წმინდანის „ცხოვრების“ შექმნამდე, ვინაიდან საგალობელი მისთვის აუცილებელ მასალას ცხოვრებებიდან იღებდა. ამიტომ ბასილი ბაგრატიის ძის საგალობლის შექმნას წინ უსწრებდა ეფთვიმეს შესახებ სვინაქსარული „ცხოვრების“ დაწერა. ე. გაბიძაშვილის დაკვირვებით, ეფთვიმეს სვინაქსარული ცხოვრება ეფთვიმეს შესახებ ვრცელი, ანუ გიორგი მთანმედლისეული „ცხოვრებისა“ და ბასილი ბაგრატიის ძის საგალობლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა (9,90). მისივე თვალსაზრისით, სვინაქსარული „ცხოვრებისა“ და საგალობლების ფრაზეოლოგიურ-შინაარსობრივმა მსგავსებამ წარმოშვა ეჭვი მათ ავტორად, ე. ი. სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორადაც, ბასილი ბაგრატიის ძის მიჩნევის შესახებ. თუმცა საამისო დამადასტურებელი ფაქტები და საბუთები ჯერჯერობით არ ჩანს. აქ ანგარიში უნდა გაენიოს იმასაც, რომ წმინდანის ხსენების დროს განგებაში შედიოდა სვინაქსარული „ცხოვრება“ და საგალობლები, ხოლო მათ უმეტესად ერთი პიროვნება ადგენდა (მაგალითად, სვეტიცხოვლის საკითხავი და ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული განგება მთლიანად ეკუთვნის ნიკოლოზ გულაბერისძეს). ამიტომ, შესაძლოა, ამგვარი მდგომარეობა იყოს ეფთვიმეს მოსახსენებელი სვინაქსარული „ცხოვრებისა“ და საგალობლის შემთხვევაშიც, მათი ავტორი ბასილი ბაგრატიის ძე იყოს. ე. გაბიძაშვილი სვინაქსარის შექმნას ეფთვიმეს გარდაცვალების უმაღლ, 1028-1029 წლებში ვარაუდობს (9,96).

ბასილი ბაგრატიის ძის ლიტერატურულ საქმიანობას კვლავ

შეხო ე. მეტრეველი, რომელმაც გაიზიარა ე. გაბიძაშვილის გამოკვლევის დებულებები და თავის მხრივ დათარიღებასთან დაკავშირებით გამოთქვა საგულისხმო თვალსაზრისი: „სავარაუდოა, რომ სვინაქსარული „ცხოვრება“ ბასილი ბაგრატიის ძეს უნდა დაენერა ეფთვიმეს გარდაცვალების გამო, არა უგვიანეს 1028-1029 წლისა, გიორგი ვარაზეაჩეს ათონიდან გაძევებამდე (1029 წ.), წინააღმდეგ შემთხვევაში სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ 1029-1034 წლების ბერძენ-ქართველთა მწვავე დაპირისპირება თავისი უმძიმესი შედეგებით აუცილებლად აისახებოდა რაიმე ფორმით (6,139).

ბასილი ბაგრატიის ძის ეფთვიმე მთანმიდელისადმი მიძღვნილი სვინაქსარული „ცხოვრება“ უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულებაა ეფთვიმეს ღვანლისა და დამსახურების წარმოსაჩენად. მან ჩამოაყალიბა ის ფაქტები, თუ რას და როგორ ემსახურობდნენ ეფთვიმეს სიცოცხლეში შედგენილი „სამახსოვრო წიგნები“. აქედან გამომდინარე, ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრება“ მიზნად ისახავდა იოვანესა და ეფთვიმეს მრავალმხრივი მოღვაწეობის შეჯამებას და შეფასებას, მათი პიროვნული თვისებების წარმოსაჩენას.

სვინაქსარული „ცხოვრება“, ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ინფორმაციული მასალით დატვირთული, ლაკონური სტილითაა დანერგილი. თხზულება მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის არა მხოლოდ იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის შესახებ, არამედ გვაცნობს ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პროცესებს. ე. მეტრეველი პასუხს კითხვისა, სად უნდა ვეძებოთ „სამახსოვრო წიგნების“ შექმნისა და მათი ფართოდ გავრცელების მიზეზი, ბასილი ბაგრატიის ძის ეფთვიმეს სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ პოულობს. იგი წერს: „ჩამოთვლის რა ეფთვიმეს სათნოებებს, ბასილი ბოლოს ურთავს: მრავალ სათნოებასთან ერთად ეფთვიმეს „აქუნდა ესეცა დიდი სათნოება – დაფარვაჲ სათნოებათა თვისთაჲ და ამისთვის უმრავლე-

სნი სათნოებანი აღუნერელად დაშთეს". საფიქრებელია, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მისმა თანამოღვაწეებმა და მონაფეებმა განიზრახეს ეფთვიმეს „დაფარული სათნოების“ საპირისპიროდ სრულად წარმოეჩინათ ეფთვიმეს განუზომელი ღვანლი ქართველთა ნათესავისა თუ „ყოველსა სოფელსა“ წინაშე, ღვანლი, რომელიც მის თანამედროვეთა დიდ განცვიფრებას იწვევდა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ბასილი ბაგრატიის ძე: „ხოლო თარგმანებაჲ წიგნთაჲ ნამეტნავად და გვრგვნად და სართად და კიდეგანად ყოველთა სათნოებათა მოეგო, რომელი იგი ფრიად საკვრველ არს, თუ ესოდენტა მოღუანებათა თანა ვითარ აღწერნა ესდენნი თარგმანებანი, გინათუ ესოდენტა თარგმანთა თანა ვითარღა უძლო აღსრულებად ესოდენტა მოღუანებათა, გარნა ძალითა ღმრთისაჲთა ქმნა ორივე ესე ფრიად მალლად და დიდებულად“ (6,108-109).

ე. მეტრეველმა პირველმა მიაქცია ყურადღება ბასილი ბაგრატიის ძის სვინაქსარული ცხოვრების ცნობას, რომლის მიხედვით მასში პირველად იჩენს თავს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი, რომ ეფთვიმე თარგმნიდა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც „ვიდრე სიკუდილამდე“; (6,137). იგივე ფაქტი მოთხრობილია გიორგი მთანმიდელის „იოვანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრებაში“. სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო ამან ნეტარმან არ დამალა ტალანტი, მოცემული ღმრთისა მიერ, არამედ მრავალწილად აღაორძინა და ფრიადნი წიგნნი თარგმნნა მრავლითა შრომითა და ღუანლითა და ვიდრე სიკუდილამდე არა დასცხრა პატიოსანი იგი პირი მისი საღმრთოისა მისგან შრომისა. და არა ხოლო ბერძნულისაგან ქართულად თარგმნნა ღრმანი და ძნიად სათარგმანებელნი წიგნნი, არამედ რაოდენნიმე ბერძულადაცა ქართულისაგან“ (9,333). როგორც ე. მეტრეველმა შენიშნა, სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორს სიახლე შემოაქვს ტრადიციულ თვალსაზრისთან შეპირისპირების ფორმით. სამეცნიერო ლიტე-

რატურაში პირველწყაროებზე დაყრდნობით გარკვეულია, რომ იოვანეს მიერ შედგენილ ეფთვიმეს თარგმანთა ნუსხაში, რომელიც 1002 წლამდეა შედგენილი, არ გვხვდება ზემოხსენებული ცნობა. ეს კი ე. მეტრეველს ავარაუდებინებს, რომ ეფთვიმეს ქართულიდან ბერძნულად თარგმნა დაუნყია იოვანე ქართველის გარდაცვალების შემდეგ (6,138).

ეფთვიმე მთანმიდელის სახელზე დანერილ საგალობელთაგან ორი საგალობელი, ორი ჰიმნოგრაფიული კანონი დანერილია ბასილის მიერ: ერთი, რომლის აკროსტიქი გვამცნობს ავტორის ვინაობას - „ღმერთშემოსილსა ეფთიმის გლახაკი ბასილი შეამკობს“, - მოთავსებულია „ათონის კრებულში“ (A-558), ხოლო მეორე, რომელიც განიხილა ე. მეტრეველმა თავის ნარკვევში „ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის“, შეტანილია ხელნაწერში H-1710, ფ.67b - 70a. ეს უკანასკნელი ბასილი ბაგრატიის ძეს ნამდვილად ეკუთვნის. გასარკვევია, ვინ იყო გლახაკი ბასილი, რომელსაც ეკუთვნის „ათონის კრებულში“ მოთავსებული საგალობელი. როგორც აღვნიშნეთ, კ. კეკელიძე ბასილი გლახაკს არ აიგივებდა ბასილი ბაგრატიის ძესთან. ე. მეტრეველმა განაცხადა, რომ ამის კატეგორიულად უარყოფა ძნელია: „ბასილი ბაგრატიის ძე ხახულის მოღვაწეა, მაგრამ თავისი მოღვაწეობის უკანასკნელი წლები მან ათონის ლავრაში გაატარა. ის თავის თავს ეფთვიმეს მონაფედ თვლიდა - ეფთვიმეს გარდაცვალების უმაღლვე მიუძღვნა მას საგალობელი, რომელიც ნარევ ძლისპირთა აკოლუთიაზეა განწყობილი. ამავე აკოლუთიაზე დაინერა ეფთვიმეს კიდევ ერთი საგალობელი, რომელიც გიორგი მთანმიდელს მიენერება. არ არის გამორიცხული, რომ ბასილი ბაგრატიის ძეს ეფთვიმეს სახელზე მეორე საგალობელიც დაენერა (ძლისპირთა სხვა აკოლუთიაზე Eu286), რომელიც შესულია „ათონის კრებულის“ I რედაქციაში“ (7,51). მისივე მოსაზრებით, „ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ბასილის საგალობელი ადრეა დანერილი (1042-1044 წლამდე), ეფთვიმეს გარდაცვალებით“.

ბით მიღებული უშუალო შთაბეჭდილებით" (იქვე). ე. მეტრეველმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ საგულისხმო ფაქტს, რომ იოდასაფის სახელზე დანერგლ საგალობელს, რომელიც გოლგოთურ თვენშია დაცული (Jer, 42), აქვს საინტერესო აკროსტიქი: „იოდასაფს ღმერთი ღმრთივგვირგვინოსანსა მეფესა გლახაკი ბასილი შეასხამს“. აკროსტიქების მსგავსება მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ეფთვიმესა და იოდასაფის საგალობელთა ავტორი ერთი პირია: გლახაკი ბასილი (ბაგრატის ძე) (8,255). „თუ რატომ არის აკროსტიქში ავტორი მხოლოდ სახელით ნარჩუნდგენილი და არა ისე, როგორც მას გიორგის „ცხოვრებაში“ უნოდებენ – ბასილი ბაგრატის ძე, ვფიქრობთ, ამასაც ეძებნება ასანა: აკროსტიქის შედგენის სირთულემ მოითხოვა ავტორის სახელის შემოკლება-გამარტივება“ (7,50).

ე. მეტრეველი შენიშნავს იმასაც, რომ მისი „ეს ვარაუდი, რათქმა უნდა, სავსებით ვერ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იოდასაფისა და ეფთვიმეს საგალობელთა ავტორი იყო ბასილი ბაგრატის ძისა და ეფთვიმეს თანამედროვე, ეფთვიმეს მონაფე, ვინმე გლახაკი ბასილი, მაღალი რანგის პიმნოგრაფი, რომელიც თავისი ხელოვნებით არ ჩამოუვარდება ბასილი ბაგრატის ძეს“ (7,51). პრობლემის საბოლოოდ გადასანჯვეტად მას აუცილებლად მიაჩნია ბასილისა და ბასილი ბაგრატის ძის საგალობელთა საფუძვლიანი შედარება და თითოეული ამ ავტორის პოეტური თავისებურებების შესწავლა. საბოლოოდ კი ასკვნის: „თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრებაც“, უკანასკნელი დროის გამოკვლევების თანახმად, ბასილი ბაგრატის ძის დანერგლად არის მიჩნეული (ე. გაბიძაშვილის თვალსაზრისი – ნ. ს.), მაშინ ბასილი პიმნოგრაფისა და ბასილი ბაგრატის ძის გაიგივებას არაფერი შეუშლის ხელს“ (7,52).

ამრიგად, ბასილის საგალობელი დანერგლია ეფთვიმეს გარდაცვალებისთანავე, 1028 წლის სიახლოვეს, ვიდრე გიორგი

მთანმიდელი დანერდა თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“, ე. ი. 1042-1044 წლებამდე. ამის საფუძველი ისაა, რომ ბასილის საგალობელს, ისევე როგორც ეფთვიმეს შესახებ დანერილ სვინაქსარულ „ცხოვრებას“, გიორგის თხზულების გავლენა არ ემჩნევა. როგორც გაირკვა, ბასილი ბაგრატის ძეს, რიგითობის მიხედვით, საგალობლებზე ადრე უნდა შეექმნა ეფთვიმესადმი მიძღვნილი სვინაქსარული „ცხოვრება“, რომელიც ეფთვიმეს გარდაცვალების უმაღლეს, 1028-1029 წლებში უნდა დანერილიყო.

ბასილი ბაგრატის ძის სვინაქსარული „ცხოვრება“ უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულებაა ეფთვიმეს ღვანლისა და დამსახურების წარმოსაჩენად ქართული კულტურის ისტორიაში. მან ჩამოაყალიბა ის ფაქტები, თუ რას და როგორ ემსახურებოდნენ ეფთვიმეს სიცოცხლეში შედგენილი „სამახსოვრო წიგნები“. აქედან გამომდინარე, სვინაქსარული „ცხოვრება“ მიზნად ისახავდა იოვანესა და ეფთვიმეს მრავალმხრივი მოღვაწეობის შეჯამებასა და შეფასებას, მათი პიროვნული თვისებების წარმოჩენას, სვინაქსარული „ცხოვრება“, ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ინფორმაციული მასალით დატვირთული, ლაკონური სტილითაა დანერილი, იგი მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის არა მხოლოდ იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობის შესახებ, არამედ გვაცნობს ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პროცესებს. მასში დაცულია მეტად საგულისხმო ცნობა იმის შესახებ, რომ ეფთვიმე თარგმნიდა არა მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულად „ვიდრე სიკუდილამდე“, რითაც სვინაქსარული „ცხოვრების“ ავტორს სიახლე შემოაქვს ტრადიციული თვალსაზრისის საპირისპიროდ. სამეცნიერო ლიტერატურაში პირველწყაროებზე დაყრდნობით გარკვეულია, რომ იოვანეს მიერ შედგენილ ეფთვიმეს თარგმანთა ნუსხაში, რომელიც 1002 წლამდეა შედგენილი, არ გვხვდება ზემოხსენებული ცნობა, რამაც ე. მეტრეველს ავარაუდებინა, რომ

ეფთვიმეს ქართულიდან ბერძნულად თარგმნა მამის, იოანეს გარდაცვალების შემდეგ უნდა დაენყო (6,138).

ბასილი ბაგრატიის ძის „გალობანი წმიდისა მამისა ეფთვიმესნი“ სხუანად არის შეტანილი 13 მაისის ჰიმნოგრაფიულ მასალაში გიორგი მთაწმიდლის ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი საგალობლის შემდეგ. იგი შედგება მცირე ფორმის საგალობლებისა, - „უფალო ღალატყავსა“, „სხუანი გიხაროდენნი“, - და ჰიმნოგრაფიული კანონისაგან. ეს უკანასკნელი კომპოზიციური თვალსაზრისით ჰიმნოგრაფიული კანონის პრინციპების მიხედვით არის აგებული, ოღონდ, როგორც XI საუკუნის ჰიმნოგრაფიისათვის არის დამახასიათებელი, კანონში არ არის მეორე გალობა - „მოიხილესა“, იგი რედუქციურებულია, ხოლო ყოველი გალობა ბიბლიურ გალობათა თემატიკის კვალობაზეა დაწერილი და მთავრდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარით.

„ათონის კრებულის“ (A-558) | რედაქციაში მოთავსებული ეფთვიმე მთაწმიდლისადმი მიძღვნილი ბასილის, აკროსტიქის მიხედვით - გლახაკი ბასილის საგალობელი ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელსაც წინ უძღვის „უფალო ღალატყავსა“ და ბოლოს ერთვის მეათე გალობად წოდებული „აქებდითსა“. ე. მეტრეველის დაკვირვებით, გალობათა ძლისპირებად გამოყენებულია კოზმა იერუსალიმელის ძლისპირთა აკოლუთია (EU-286). „მთელი ეს გალობანი ერთ აკოლუთიაზეა განყოფილი ისევე, როგორც ზოსიმეს წინა დასდებელი. ყოველი გალობის მეოთხე ტროპარი ღმრთისმშობლის შესხმია და მიესადაგება შესაბამის ძლისპირს კოზმას აკოლუთიდან. როგორც ძლისპირი, ასევე ღმრთისმშობლისა მიითთებულია დასაწყისი სიტყვებით. სტიქარონების ძლისპირებიც იძებნება ქართულ ირმოლოგიონში (იხ. A-85)“ (7,50).

უნდა აღინიშნოს ის სხვაობა, რომელიც ბასილი ბაგრატიის ძისა და გლახაკი ბასილის სახელით ცნობილ ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილ საგალობლებს შორის დასტურდება. კე-

რძოდ, ბასილი ბაგრატიის ძის საგალობელს არ ახლავს მეათე გლობა „აქებდითსა“, იგი ახლავს ათონის კრებულში მოთავსებულ გლახაკი ბასილის საგალობელს. ბასილი ბაგრატიის ძის ყოველი გლობა, ზემოთაც აღვნიშნეთ, მოაირდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარიო, ხოლო გლახაკი ბასილის ჰიმნოგრაფიული კანონის ყოველი გლობის ღმრთისმშობლისანი საწყისი სიტყვებით გვხვდება, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ისინი ავტორის შეთხზული არ არის. მართლაც, ე. მეტრეველის ზემოთ დამონმებული სიტყვებიც ადასტურებს, რომ ისინი კოზმა იერუსალიმელის აკოლუთიიდანაა.

საგალობლებზე დაკვირვება აჩვენებს, თუ როგორი ღრმა მოაზროვნე და ენაწყლიანი მოუბარი უნდა ყოფილიყო ბასილი ბაგრატიის ძე. ნათლად იკვეთება მისი შემოქმედებითი უნარი, სახისმეტყველებითი აზროვნება, როდესაც იგი საგალობლის ქებისობიექტს წარმოაჩენს ბიბლიური სახეებით. ეფთვიმე მთანმიდელი არის ზემხილვარე გონების, ნმინდა სულის, ღვთიური სიბრძნის მქონე ნმინდანი, მეორე ოქროპირი, ღმერთშემოსილი და ნეტარი, მშვიდი და სახიერი, ღირსი და ახოვანი მამა-მოძღვარი, რომელმაც, ავტორის რიტორული სიტყვით, „შესხმანი ნმინდანი განაშუენენ და ცხოვრებანი მათნი აღგვწერენ და ენაჲ ჩუენი ნაკლულევანი განავრცელე“ (5,212); ავტორი მიმართავს ეფთვიმე მთანმიდელს: „შჯულსა ღმრთისასა სიყრმიტგან აღიზარდე და სრულ იქმენ, სანატრელო მამაო ეფთვიმი. სათნოებათა ჰასაკითა და სიტყუასა მას ჭემარიტსა მართლად გამომეტყველ იქმენ და მოლუანებათა კიბითა აჰმალღდი კამართა ცისათა, დიდებულო. სათნობითა სრულქმნილი და სინმიდითა ბრწყინვალედ შემკობილი მღუდელ-შუენიერ იქმენ, ღმერთშემოსილო მამაო, და ვითარცა მზემან მნათობმან განანათლენ ქართველნი და ცხოვრებისა წინამძღუარნი სულთა მორწმუნეთანი წიგნნი საღმრთონი მოჰფინენ“ (5,210).

ბასილი ბაგრატიის ძე ახასიათებს ეფთვიმეს მოღვაწეობას, ნა-

რმოაჩენს მის ღირსებებს, აფასებს მის ღვანლსა და დამსახურებას, რაც მის შთამომავალთა გულში მადლიერების გრძნობას აღძრავს. საგალობელი გვამცნობს ეფთვიმე ათონელის ცხოვრებისეულ მნიშვნელოვან ფაქტებს, კერძოდ: „დალაცათუ გებრძანა მეფისა მიერ კვპრიისა მღდელმოდღურებაჲ, მშკდო და ნრფელო, ღირსო მამაო ეფთვიმი, არაჲ თავს-იდევ სიყვარულითა სიმდაბლისაჲთა. არა დაფარნა ღმერთმან შრომანი შენნი, არამედ განგაბრწყინვა სასნაულითა, ვითარცა რაჲ მოსე, მთასა ათონას ცეცხლებრ ხილვითა სუეტად ცად აღნეენილად“ (5,211). საგალობელში ნახსენები არიან იოანე და ეფთვიმე მთანმიდელების თანამედროვე და თანამოღვანე ბერები არსენი და იოანე, „აღესებულნი სათნოებითა წინამძღურებითა სულისა წმიდასაჲთა“, „ვითარცა გურიტნი უდაბნოს მოყუარენი“ (5,212).

ქრისტიანული მწერლობის ტრადიციის კვალობაზე, ბასილი ბაგრატის ძე მთანმიდელი საკუთარ შემოქმედებას, კერძოდ, საგალობლებს, არ მიიჩნევს ეფთვიმეს შესაფერისად გამოთქმულად, თავმდაბლად აცხადებს, რომ „კინი და უძღური გალობაჲ“ შეინიროს და უღირსს შენდობა მიაგოს.

ამრიგად, ბასილი მთანმიდელი, ბაგრატის ძე, XI საუკუნის ქართველ მწერალთა პლეადას ამშვენებს თავისი საგალობლებითა და ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრებით“. იგი ათონის მთის ქართული მონასტრის, ივირონის მკვიდრ წმიდა მამათა ღირსეული წარმომადგენელია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განჭვრიტა ეფთვიმე მთანმიდელის როლი და მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ათონის ქართველთა მონასტრისათვის, მეორე მხრივ, ზოგადად ქართული კულტურისათვის და მის სამახსოვროდ შექმნა თავისი თხზულებები.

დამონებული ლიტერატურა:

1. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი ალაპებით, თბ., 1901.
2. ნ. ბერძენიძეილი, ათონის კრებულის მნიშვნელობა. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1967.
3. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
4. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.
5. ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის, პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 1952.
6. ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996.
7. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ., 1998.
8. H. Metreveli, Un nouveau sur l'Hymne de Ioasaph. Le Muséon. t. 100. fasc. 1-4. 1987.
9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968.